

დამკვეთი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აუდიტორი

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

205279660

ვიქტორ დოლიძის ქ. #2.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
პირობითი მოსაზრება	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი	4
სხვა ინფორმაცია	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	5
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
ძირითადი საქმიანობა	11
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	11
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	11
უცხოური ვალუტის ოპერაციები	12
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13
მოგების გადასახადი	13
ძირითადი საშუალებები	14
არამატერიალური აქტივები	14
გადახდილი ავანსები	14
სესხები	15
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
შემოსავალი რეალიზაციიდან	15
ხარჯები	15
პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	15
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	19
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
ბალანსის შემდგომი მოვლენები	20

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 25 დეკემბერს


დირექტორი - ივანე ჩერქეზიშვილი

2023 წლის 25 დეკემბერი, საქართველო თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მპს „აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტი“-ს დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ მპს „აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი მენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების აბზაცში წარდგენილი ინფორმაციის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 30 მარტს და ამდენად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების და ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2022 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით ფლობილი მარაგების და ძირითადი საშუალებების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების და ძირითადი საშუალებების ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა,

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვეკლდება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაბამეა კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

25 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო




შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	3	8,565,196	6,078,878
მთლიანი მოგება		8,565,196	6,078,878
მიწოდების ხარჯი	4	(183,623)	(74,365)
ხელფასის ხარჯი		(3,682,238)	(3,122,857)
ადმინისტრაციული ხარჯი	5	(1,603,747)	(1,168,294)
ცვეთის ხარჯი		(744,317)	(283,587)
საოპერაციო მოგება		2,351,270	1,429,775
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	6	(231,024)	(268,370)
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		603,009	(189,199)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი (წმინდა)		(2,711)	(41,779)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		369,274	(499,348)
მოგება დაბეგვრამდე		2,720,544	930,427
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		2,720,544	930,427
ძირითადი საშუალების აფასება		-	-
სრული შემოსავალი		2,720,544	930,427

* 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 25 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - ივანე ჩერქეზიშვილი



 საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის
 დეპარტამენტის უფროსი - ნინო ლოცოშვილი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	11,256,715	9,524,213	5,363,374
არამატერიალური აქტივები		194,069	191,670	103,314
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,450,784	9,715,883	5,466,688
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	314,706	464,793	263,979
სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნები	10	737,274	1,111,762	1,238,984
გაცემული სესხები	11	48,988	13,356	74,900
მოთხოვნები სწავლის საფასურზე		161,558	-	69,223
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	12	44,659	185,301	397,453
სულ მიმდინარე აქტივები		1,307,185	1,775,212	2,044,539
სულ აქტივები		12,757,969	11,491,096	7,511,227
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,908,640	1,908,640	1,908,640
გაუნაწილებელი მოგება		3,385,318	664,774	(265,653)
ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვი		352,053	352,053	352,053
სულ საკუთარი კაპიტალი		5,646,011	2,925,467	1,995,040
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	13	4,169,329	6,180,278	4,317,230
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,169,329	6,180,278	4,317,230
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,647,215	1,873,568	455,298
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	612,537	54,750	635,692
გადასასდელი გადასახადები		682,876	457,032	107,966
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,942,629	2,385,350	1,198,956
სულ ვალდებულებები		7,111,958	8,565,629	5,516,187
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,757,969	11,491,096	7,511,227

* 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 25 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - ივანე ჩერეჭიშვილი



საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის
დეპარტამენტის უფროსი - ნინო ლოცოშვილი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	1,908,640	352,053	3,385,318	5,646,011
წმინდა მოგება	-	-	2,720,544	2,720,544
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	1,908,640	352,053	664,774	2,925,467
წმინდა მოგება	-	-	930,427	930,427
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	1,908,640	352,053	(265,653)	1,995,040

* 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 25 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - ივანე ჩერეშიშვილი



 საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის
 დეპარტამენტის უფროსი - ნინო ლოცოშვილი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადამდე	2,720,544	930,427
კორექტირება:		
ცვთის ხარჯი	744,317	283,587
საპროცენტო ხარჯი	231,833	268,370
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(603,009)	189,199
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	3,093,686	1,671,583
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	212,930	196,446
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	150,087	(200,814)
ცვლილებები გადასახადებში	225,844	349,066
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(228,146)	1,413,315
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,454,401	3,429,596
გადახდილი პროცენტი	(232,081)	(267,690)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობისთვის	3,222,319	3,161,905
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების მიღება	(2,476,819)	(4,444,426)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	(2,399)	(88,357)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,479,218)	(4,532,783)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	408,245	2,222,183
მიღებული სესხების გადახდა	(1,110,522)	(1,035,911)
სესხის გაცემა	(379,495)	-
გაცემული სესხის დაბრუნება	343,863	66,482
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(737,908)	1,252,754
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(145,835)	(94,028)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(140,642)	(212,151)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	185,301	397,453
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	44,659	185,301

* 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 25 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - ივანე ჩერქეზიშვილი


 საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის
 დეპარტამენტის უფროსი - ნინო ლოცოშვილი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი დაფუძნდა 2011 წლის 24 ოქტომბერს, თბილისი, საქართველო. მარეგისტრირებული ორგანო საჯარო რეესტრი ეროვნული სააგენტო. რეგისტრირებული იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, შატილის ქ. N4 კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის რომ უზრუნველყონ აკადემიური მიღწევები და ეთიკურად ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემო სტუდენტებისთვის, რათა მიიღონ უმაღლესი განათლება შესაბამის დარგებში.

კომპანიის დამფუძნებლებია:

2022 მესაკუთრე	წილის მმართველი
განაპრია კანჩერლა, 585288007 /აშშ/	56 %
დავით ჩერქეზიშვილი, 01023007754	7.12 %
ზურაბ ამაშუკელი, 01008004597	2 %
თეა იმედაძე, 01009017407	2 %
რუსუდან ჩიქოვანი, 01008037194	2 %
ივანე ჩერქეზიშვილი, 01023007436	8 %
დავით ნიქარაძე, 53001004264	13.2 %
შპს ნაის რუმი, 405179373	9.68 %

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შესაბამისობის განცხადება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2021 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, ფასს 1-ით მოითხოვება 2022 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2021 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია მსს ფასსთან შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სტანდარტების პირველადი გამოყენება.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად. კომპანიას ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის აღრინდელი საფუძვლებიდან ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. ფასს 1-ით მოითხოვება ფასს-ზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორ ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე,

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. ანგარიშგებაში არსებული მოთხოვნები ძირითადად მოიცავს სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობით წარმოქმნილ მოთხოვნებს. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული არა ბრუნვადი მარაგები წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობისათვის საჭირო მარაგებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშგო სასარგებლო გამოყენების ვალებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

• შენობა-ნაგებობები	20 წელი
• მანქანა-დანადგარები	5 წელი
• ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
• ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
• სხვა ძირითადი საშუალებები	7 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. სესხის ძირითადი ნაწილი შედგება საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებული საკრედიტო ხაზისგან, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავლების გენერირება ხდება სწავლის საფასურიდან, რომელთა აღიარება ხორციელდება ხელშეკრულებისა და მისი შესაბამისი გადახდის გრაფიკის საფუძველზე. შემოსავალი იზომება როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება. როდესაც ბარტერულ შეთანხმებაში საიმედოდ ვერ დგინდება მიღებული აქტივის ღირებულება, შემოსავალი აღიარდება იმ აქტივების ან სერვისის ღირებულებით, რომელიც ჯგუფმა და კომპანიამ გასცა ან გასწია.

კომპანიის პერიოდის შემოსავლები მოიცავს სტუდენტებისათვის გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებით წარმოქმნილ შემოსავლებს.

ხარჯები

მიწოდების და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს კომპანიის ყოველდღიურ ოპერაციებში გაწეულ დანახარჯებს. ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შენიშვნა 3 - შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან

	2022	2021
შემოსავალი სწავლის საფასურიდან	8,557,010	6,078,124
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8,187	754
სულ შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	8,565,196	6,078,878

შენიშვნა 4 - მიწოდების ხარჯი

	2022	2021
რეკლამის ხარჯები	183,130	73,728
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	494	637
სულ მიწოდების ხარჯი	183,623	74,365

შპს აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 5 - ადმინისტრაციული ხარჯი

	2022	2021
საიჯარო ხარჯები	400,875	433,099
აქტივობებისა და ტრენინგების ხარჯები	223,160	48,523
კომუნალური ხარჯები	176,881	90,548
დაზღვევის ხარჯები	155,580	115,052
საკომისიო ხარჯები	96,664	54,082
ტექნიკური მომსახურების ხარჯები	50,420	1,500
საწევრო ხარჯები	47,481	40,940
სამეურნეო ხარჯები	46,067	19,317
მივლინების ხარჯები	38,711	15,163
კომუნიკაციის ხარჯები	36,009	30,275
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	32,500	39,000
კომპიუტერული ხარჯები	31,008	16,240
საწვავის ხარჯები	16,026	22,991
საოფისე ინვენტარის ხარჯები	13,722	14,359
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯები	10,006	4,727
თარჯიმნის ხარჯები	9,799	17,855
წარმომადგენლობითი ხარჯები	9,716	20,395
რემონტის ხარჯები	9,073	11,689
საბანკო ხარჯები	6,203	9,898
დაცვის ხარჯები	1,857	1,118
გაუფასურების ხარჯი	10,250	-
ლიცენზიების ამორტიზაციის ხარჯები	73,185	29,569
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	108,553	131,955
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	1,603,747	1,168,294

შენიშვნა 6 - ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

	2022	2021
საპროცენტო ხარჯები	(231,827)	(268,370)
საპროცენტო შემოსავალი	803	-
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	(231,024)	(268,370)

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31/12/2022	1,413,293	8,042,262	161,211	637,985	897,570	104,394	11,256,715
ბალანსი 31/12/2021	1,413,293	6,669,646	-	744,473	613,670	83,131	9,524,213
ბალანსი 31/12/2022	1,413,293	8,042,262	161,211	637,985	897,570	104,394	11,256,715
დანამატები	-	1,713,268	169,696	83,480	468,355	42,020	2,476,819
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	(340,652)	(8,485)	(189,969)	(184,455)	(20,757)	(744,317)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2021	1,413,293	6,669,646	-	744,473	613,670	83,131	9,524,213
დანამატები	-	3,169,584	-	783,273	483,147	8,422	4,444,426
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	(13,338)	-	(130,371)	(119,228)	(20,650)	(283,587)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2020	1,413,293	3,513,400	-	91,572	249,751	95,359	5,363,374

შპს აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 8 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31.12.2022	31.12.2021
ნედლეული და მასალები	169,739	355,809
სასაქონლო მარაგები	115,695	50,176
სხვა მარაგები	29,273	58,808
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	314,707	464,793

შენიშვნა 9 - სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,653	6,686
გადახდილი ავანსები	732,622	1,105,076
სულ სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნები	737,274	1,111,762

შენიშვნა 10 - გაცემული სესხები

	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიმდინარე სესხებზე ფიზიკურ პირებთან	48,988	13,356
სულ გაცემული სესხები	48,988	13,356

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	13,356	74,900
სესხის გაცემა	379,495	-
გაცემული სესხის ძირის მიღებები წლის განმავლობაში	(343,863)	(66,482)
დადებითი საკურსოს ზვობა	-	4,938
სულ წასესხები სახსრები	48,988	13,356

შენიშვნა 11 - ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ლარი საბანკო ანგარიშებზე	11,427	106,674
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	33,232	78,308
ნაღდი ფული სალაროში	-	320
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	-	320
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	44,659	185,301

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 12 - სასესხო ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი სესხები იურიდიულ პირებთან	4,169,329	6,180,278
	4,169,329	6,180,278
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები იურიდიულ პირებთან	612,098	15,488
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები ფიზიკურ პირებთან	-	38,575
	612,098	54,063
გადასახდელი პროცენტები იურიდიულ პირებთან	439	687.17
გადასახდელი პროცენტები ფიზიკურ პირებთან		
	439	687
სულ სასესხო ვალდებულებები	4,781,867	6,235,028
	2022	2021
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	6,235,028	4,952,922
სესხზე დარიცხული პროცენტი	231,833	268,378
მიღებული ფულადი სახსრები	408,245	2,222,183
გადახდილი პროცენტი	(232,081)	(267,690)
გადახდილი ძირი თანხა	(1,110,522)	(1,035,911)
საქურსო სხვაობის ეფექტი	(750,637)	95,147
სულ ნასესხები სახსრები	4,781,866	6,235,028
გრძელვადიანი ნაწილი	4,169,329	6,180,278
მოკლევადიანი ნაწილი	612,537	54,750

შენიშვნა 13 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,463,640	1,264,592
მიღებული ავანსები	52,784	45,414
სტუდენტებისგან მიღებული ავანსები	-	396,539
გადასახდელი ხელფასები	45,831	133,615
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	84,959	33,408
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,647,215	1,873,568

14. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
 - (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
 - (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
 - (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
 - (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.
- თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

2022			
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	სესხის აღება	სესხის დაბრუნება	სახელფასო ანაზღაურება
მეკავშირე პირები	554,490	492,825	
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა			78,151
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	554,490	492,825	78,151

2021			
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	სესხის აღება	სესხის დაბრუნება	სახელფასო ანაზღაურება
მეკავშირე პირები	359,406	320,831	
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა			85,367
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	359,406	320,831	85,367

16. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.

მმართველობითი ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, როგორც კერო სამართლის იურიდიული პირი, დაფუძნდა ორგანიზაციის წარმატებული მართვისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე, მოტივირებული და კომპეტენტური გუნდის მიერ.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (მომავალში EEU) ერთ-ერთი წარმატებული ინსტიტუციაა საქართველოს საგანმანათლებლო სიერცეში, რომელმაც საქმიანობა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით 2013 წლის სექტემბრიდან სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსით დაიწყო. საქმიანობის წარმატებული დასაწყისიდან ორ წელიწადში ხელახალი ავტორიზაციის გზით სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა და 2015 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს, როგორც სამსაფეხურიანი უნივერსიტეტი და პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

EEU-მ მოკლე ისტორიის მიუხედავად, შეძლო მოეპოვებინა ნდობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, როგორც ხარისხზე ორიენტირებული, თანამედროვე კორპორატიული სტილის მქონე ინსტიტუციას. უნივერსიტეტმა სწრაფი და მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა მიმართულებებით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს პროგრესი ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. უნივერსიტეტმა პარტნიორობა დაამყარა 40-მდე საერთაშორისო უნივერსიტეტთან და ორგანიზაციასთან, მათ შორის ბრიტანეთის, აშშ, გერმანიის, უნივერსიტეტებთან, მოპოვებული აქვს **ERASMUS+**-ის, აშშ საელჩოს, ბრიტანეთის საბჭოს, არაერთი გრანტი. განხორციელა 50-ზე მეტი საერთაშორისო პროექტი და აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფონდებთან, არის არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, მათ შორის: ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაცია (**EPLO**), მსოფლიო განათლების მომსახურების ორგანიზაცია (**WES, USA**), დიდი ბრიტანეთის მკვლევართა პოტენციალის განმახორციელებელი პროგრამა (**Vitae**), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (**WHO**); დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების აკადემია (**Advance HE**).

სტრატეგიული გეგმებით დასახული მიზნების განსახორციელებლად, უნივერსიტეტს სტრატეგიულ გეგმაში გამოყოფილი აქვს **ხუთი ძირითადი პრიორიტეტი**, მათ შორის **სამი სტრატეგიული პრიორიტეტი** და ორი გამჭოლი პრიორიტეტი.

სუბიექტის განვითარების გეგმები

სტრატეგიული პრიორიტეტები:

1. მიმზიდველობის გაზრდა (სტრატეგიული პრიორიტეტი):

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიზანია, რომ ეფექტიანი საქმიანობითა და სტრატეგიული გეგმის განხორციელების გზით, გავხდეთ ქვეყნის მასშტაბით უფრო მეტად წარმატებული უნივერსიტეტი. რისთვისაც საჭიროა, რომ ამჟამად არსებული და სამომავლო მიღწევები გარდაისახოს კიდევ უფრო ძლიერ ორგანიზაციულ იმიჯში, რათა საზოგადოების თვალში დაიმკვიდროს საკუთარი სახელი, რომელიც ასოცირდება სტუდენტებისა და პერსონალის წარმატებასთან. აღნიშნული მიდგომა დაეხმარება უნივერსიტეტს, რათა დააჩქაროს შემდგომი განვითარება და კიდევ უფრო მეტად

გააძლიეროს მისი პოზიცია უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში.

ჩვენი წარმატების საზომია: სტუდენტური კონტიგენტის მზარდი მაჩვენებელი, მუდმივად ზრდადი ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი, ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტების ჩარიცხვის გაზრდილი მაჩვენებელი, წარმატებული სტუდენტების უპირატესი არჩევანი, გაუმჯობესებული და ძლიერი იმიჯი;

2. კვლევების განვითარება (სტრატეგიული პრიორიტეტი):

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა, როგორც კვლევებზე ორიენტირებულმა უნივერსიტეტმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ამ მიმართულებით, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვამ. ახლა კი საჭიროა უნივერსიტეტში ძლიერი კვლევითი კულტურის დანერგვის მიზნით არსებულ მიღწევებზე დაყრდნობით და სტრატეგიული გეგმარების გამოყენებით სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარება.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კიდევ უფრო განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ახალი სასწავლო სემესტრიდან, უნივერსიტეტის სტუდენტები და პერსონალი უზრუნველყოფილნი იქნებიან თანამედროვედ აღჭურვილი სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურით, რომელიც ხელს შეუწყობს გამოყენებით კვლევების განხორციელებას, რაც საბოლოო ჯამში აისახება და გავლენას მოახდენს საუნივერსიტეტო საზოგადოების სამეცნიერო სამუშაო ხარისხზე და ხელს შეუწყობს მათი ნაშრომების საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებას.

ჩვენი წარმატების საზომია: საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, კვლევითი ინფრასტრუქტურის რაოდენობისა და აღჭურვის მაჩვენებელი, საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის რაოდენობის მაჩვენებელი, რომლებშიც იქნა გაძლიერებული კვლევითი კომპონენტები, კვლევითი პუბლიკაციების რაოდენობა, სამეცნიერო ჟურნალების მრავალფეროვნება, კონფერენციებზე მონაწილეობის მაჩვენებელი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, ინსტიტუტების რაოდენობის მაჩვენებელი, სამეცნიერო-კვლევითი ბიუჯეტის ზრდის ოდენობა.

3. ინტერნაციონალიზაცია (სტრატეგიული პრიორიტეტი)

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მიზანდასახულად და ნაბიჯ-ნაბიჯ ისწრაფის ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისაკენ. ამავდროულად, ღია არის არა მხოლოდ ევროპისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

ჩვენი მიზანია, გავხდეთ მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი სასურველი უნივერსიტეტი, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები მიიღებენ უმაღლესი ხარისხის ევროპულ განათლებას, ხოლო აკადემიური პერსონალი კი მოახდენს საკუთარი პოტენციალის რეალიზაციას.

აღნიშნულის მიზნის მხარდასაჭერად, შემუშავდა და დაინერგა უცხოელი სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამები, მოიზიდა უცხოელი აკადემიური პერსონალი, დამყარდა სხვადასხვა საერთაშორისო კავშირები და თანამშრომლობითი ხასიათის ურთიერთობები.

ინტერნაციონალიზაციის პროცესებს უნივერსიტეტი განიხილავს როგორც საუკეთესო შესაძლებლობას, რათა ქართველ სტუდენტებსაც შევთავაზოთ საერთაშორისო სწავლის გამოცდილება, ხოლო უნივერსიტეტის პერსონალმა კი საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუმჯობესოს სწავლა-სწავლების, კვლევითი და მმართველობითი უნარები. განახორციელოს უცხოელ კოლეგებთან ერთად საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროექტები. აგრეთვე, დასახული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტი ისწრაფვის გაზარდოს როგორც ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე არსებულ ქართულენოვან პროგრამებში საერთაშორისო კომპონენტები.

ჩვენი წარმატების საზომია: უცხოელი თანამშრომლობის რაოდენობა სწავლა/სწავლების მიმართულებით, უცხოელი თანამშრომლობის რაოდენობა კვლევების მიმართულებით, სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული უცხოელი პერსონალის რაოდენობა, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების რაოდენობა, გაცვლით პროგრამებში სტუდენტებისა და პერსონალის მაჩვენებელი, უცხოელი სტუდენტების რაოდენობა, უცხოელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა, განხორციელებული საერთაშორისო ღონისძიებებისა და აქტივობების რაოდენობა;

4. მმართველობის გაძლიერება (გამჭოლი პრიორიტეტი)

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ახერხებს, სტუდენტებისა და პერსონალის, შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოლოდინების გამართლებას. აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს კომპეტენტურ და შედეგზე ორიენტირებულ მენეჯმენტს. ამ კუთხით, უნივერსიტეტი მუდმივად ისწრაფვის, რომ განავითაროს ეფექტიანი მმართველობითი სტრუქტურა და თანამშრომელთა კომპეტენციები. ამისათვის ვიზიდავთ, როგორც მაღალკვალიფიციურ კადრებს, ასევე ვახდენთ არსებული კადრების პროფესიული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას. პროცესების მართვის ეფექტიანი სისტემა შესაძლებელს ხდის უზრუნველყოფილი იქნეს უმაღლესი განათლების, კვლევისა და ბიზნესის შორის უწყვეტი კავშირი.

ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის განვითარება, რომელიც ვრცელდება ყველა სერვისისა და საქმიანობაზე. მხოლოდ ხარისხის განვითარებაზე მუდმივად ზრუნვით არის შესაძლებელი მიღწეულ იქნეს მთავარი მიზანი კიდევ უფრო გაძლიერდეს უნივერსიტეტის იმიჯი და გავხდეთ ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო და მოთხოვნადი უნივერსიტეტი ბაზარზე.

ჩვენი წარმატების საზომია: პერსონალის რაოდენობა, პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, პერსონალის და სტუდენტის კმაყოფილება, გარე შეფასების შედეგები - ავტორიზაცია/აკრედიტაცია, უცხოელი ექსპერტები და ა.შ, საუნივერსიტეტო სერვისებისა და მომხმარებელთა რაოდენობა.

5. ინფრასტრუქტურის განვითარება (გამჭოლი პრიორიტეტი):

დასახული მიზნების მისაღწევად და ზემოთხსენებული სამი სტრატეგიულ პრიორიტეტის უზრუნველსაყოფად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება. მხოლოდ თანამედროვე და შესაბამის ლაბორატორიული და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების ეფექტიანი და სწრაფ მიწოდებას.

ყოველივე ამის მისაღწევად აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახალი კამპუსის და სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიების მშენებლობა დასრულდა და შესაბამისად აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით, მაღალი სიჩქარის ინტერნეტით და ყველა საჭირო ინვენტარით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისათვის შესაბამის სასწავლო გარემოს.

ასევე, ინფრასტრუქტურაში მუდმივი ინვესტიციით შევძლებთ განვავითაროთ სასწავლო, კვლევითი, სამუშაო და რეკრეაციულ გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტო საზოგადოების განვითარებას და ორგანიზაციის ეფექტურ ფუნქციონირებას.

ჩვენი წარმატების საზომია: ინფრასტრუქტურაში მიმართული ბიუჯეტის ოდენობა, ახალი კამპუსის ინფრასტრუქტურა, სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილება, სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურის რაოდენობა.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი საქმიანობას ახორციელებს ორ კამპუსში.

პირველი სასწავლო კამპუსი - მდებარეობს ქ. თბილისში. ფუტკარაძის ქ. N1-ში სადაც, ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის აქტივობების სრულყოფილად და საფუძვლიანად განხორციელების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განტავსებულია შესაბამისი სპეციფიკაციის ლაბორატორიები. მათ შორის, მიკრო-ბიოლოგიის, ბიოქიმიის, ჰისტოლოგიისა და უჯრედული ბიოლოგიის ლაბორატორიები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ლაბორატორიული ქურჭლით, მასალებით, რეაქტივებით, სხვადასხვა ტიპის დანადგარებით, გამწოვი კარადებით, მიკროსკოპებით და იმ აპარატურით, რაც საჭიროა ბიოქიმიური ანალიზების ჩასატარებლად, ჰისტომორფოლოგიური პრეპარატების სანახავად, კვლევების განსახორციელებლად.

შენობაში ასევე განთავსებული სიმულაციური ცენტრები, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო მულაჟებით და საჭირო ინვენტარით, ასევე ამავე შენობაშია განთავსებული ე.წ. **OSCE**-ის საგამოცდო ცენტრი, სადაც სტუდენტები მონაწილეობას იღებენ შესაბამისი სტანდარტის საგამოცდო პროცესში. შენობაში ასევე ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასები, სადაც ხდება სასწავლო და საგამოცდო პროცესის უზრუნველყოფა.

მეორე სასწავლო-ადმინისტრაციული კამპუსი - მდებარეობს აღმაშენებლის ხეივანზე, მე-12 კმ, ირინა ენუქიძის ქ.6-ში, (აშშ-ს საელჩოს მიმდებარედ). შენობა არის ახალი აშენებული და განთავსებულია 8000 კვ.მ გამწვანებულ სარეკრეაციო სივრცეში. კამპუსი აღჭურვილია თანამედროვე ციფრული ტექნიკით, სმარტ-დაფებით, მონიტორებით, უახლესი კომპიუტერული ტექნიკით, თანამედროვე ბიბლიოთეკით, სტანდარტების შესაბამისი სახანძრო და უსაფრთხოების სისტემებით, მაღალი სიჩქარის ინტერნეტით და სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიებით.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ასევე ფლობს **მე-5 კლინიკური საავადმყოფოს 24 %-იან წილს**, სადაც ჩვენს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შეუფერხებლად გაიარონ კლინიკური კურსები და მიიღონ პრაქტიკული ცოდნა.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისთვის, როგორც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული და კვლევაზე ორიენტირებული ინსტიტუციისთვის, ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტია სამეცნიერო კვლევები და განვითარება. ამისათვის ის მუდმივად:

➤ ახალისებს აკადემიურ პერსონალს, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარებს, ახალი ცოდნისა და მაღალი ხარისხის სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნისთვის, აგრეთვე მხარს უჭერს მათ კვლევითი პოტენციალის განვითარებას;

- ავითარებს კვლევითი ეთიკის კულტურას და ხელს უწყობს ფუნდამენტური, გამოყენებითი და ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას;
- ახორციელებს კვლევის შედეგების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში;
- უზრუნველყოფს სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციას და მათ ჩართულობას;

- თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით;
- უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით მიღებული შედეგების გამოყენებას;
- ოპტიმალურად და ეფექტიანად იყენებს ინტელექტუალურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს ხარისხიანი კვლევების განსავითარებლად.

უნივერსიტეტში შექმნილა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული **”სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი“**, რომლის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში დოქტორანტურის საფეხურზე სწავლა-სწავლება-კვლევის პროცესის უწყვეტი განვითარება და ხელშეწყობა; უნივერსიტეტში განხორციელებული სადოქტორო კვლევების ეთიკის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე ზრუნვა. დოქტორანტების მხარდაჭერა, მათი კვლევითი უნარების და აკადემიური პერსონალის პროფესიული და აკადემიური უნარების განვითარება, დოქტორანტურის საფეხურზე სწავლა-სწავლების სტრატეგიის განვითარება და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, დოქტორანტების სამეცნიერო და საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართულობის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რომ სადოქტორო კვლევების ცენტრს ხელმძღვანელობს ბრიტანელი მეცნიერი და განათლების ექსპერტი.

უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის იზნით ფუნქციონირებს შვიდი კვლევითი ცენტრი :

- **ფსიქოლოგიისა და ნეირო-მეცნიერების კვლევითი ცენტრი** - ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ კვლევით ერთეულს, რომლის მიზანია თანამედროვე ნეიროტექნოლოგიური და ბიომეტრიული აპარატურის გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ანალიტიკური და სამეცნიერო სამუშაოების განხორციელება და ამ გზით ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების განვითარება საქართველოში; ინოვაციური მიგნებების გაკეთება, საერთაშორისო ინოვაციური და ერთობლივი კვლევების განხორციელება და მსოფლიოში საქართველოს სამეცნიერო სტატუსის ამაღლება.
- **არქიტექტურის კვლევითი-საპროექტო ბიურო** - ბიურო წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ კვლევით ერთეულს, რომლის მიზანია უნივერსიტეტში კვლევითი, რეალური სასწავლომეთოდური და საწარმოო ბაზის შექმნა ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით; სამეცნიერო-კვლევითი კადრების მომზადება არქიტექტურის მიმართულებით; კარიერული განვითარების ხელშეწყობა არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტებისთვის და მაღალკონკურენტული პროფილური ბიზნესსტრუქტურის შექმნა.
- **ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი** - ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ კვლევით ერთეულს, რომლის მიზანია ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავება და განხორციელება; უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაში საკუთარი წვლილის შეტანა; ინტერდისციპლინურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ჩართულობის მხარდაჭერა.

- **საერთაშორისო საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის ინსტიტუტი** - ცენტრი კვლევით სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზანია დარგში მოღვაწე ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერებისა და ექსპერტების მონაწილეობით სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება; საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის სფეროში სიღრმისეული კვლევა, გლობალური და რეგიონული საზღვაო სამართლის პროგრესულ განვითარებაში წვლილის შეტანა; მკვლევართა, სტუდენტთა და საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო საზღვაო სამართლის საკითხებში; საქართველოს მიერ მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა და ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა.
- **მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი ცენტრი** - ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ კვლევით ერთეულს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მკვლევარების, სტუდენტების, საჯარო მოხელეების, სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას მიგრაციისა და დიასპორის საკითხებზე; ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვას მიგრაციისა და დიასპორის საკითხებზე სამეცნიერო და კვლევით ღონისძიებებში; ხელი შეუწყოს საქართველოში მიგრაციისა და დიასპორის პოლიტიკის განვითარებას.

- **გამოყენებითი კვლევების მრავალფუნქციური ცენტრი** - ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ კვლევით ერთეულს, რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, უნივერსიტეტის ინტელექტუალური და კვლევითი პოტენციალის განვითარება და რეალიზება, ბიზნესის პრობლემურ საკითხებზე ორიენტაცია და ძალისხმევის წარმართვა მათი დროული გადაწყვეტისთვის – ბიზნესთან, სამეცნიერო და საერთაშორისო დაწესებულებებთან, სახელმწიფო და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გზით.

ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა არაერთი აქტივობა:

- გამოიცა - „**სამეცნიერო შრომების კრებული**“ (ყოველწლიური გამოცემა)
- ჩატარდა არაერთი საერთაშორისო კონფერენცია
- აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით ინგლისური ენიდან ითარგმნა წიგნი „**ფინანსური აღრიცხვა**“ (**ROBERT KEMP – University of Virginia; JEFFREY WAYBRIGHT – Spokane Community Collage**)
- ხორციელდება ERASMUS +ის Capacity building for higher education ფარგლებში საგრანტო პროექტის მომზადება ევროკავშირის ოთხი პარტნიორი უნივერსიტეტის ჩართულობით:

უცხოელი პარტნიორები:

- Sorbonne Université, France (confirmed participation) University of
 - Nicosia, Cyprus (confirmed participation)
 - University of Alicante, Spain (confirmed participation)
 - University of Middlesex, UK (confirmed participation)
 - Adam Mickiewicz University, Poland (confirmed participation)
- 2022 წელს EEU-ს აკადემიური პერსონალის ჯგუფმა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფუნდამენტური კვლევების კონკურსში შეიტანა პროექტი, რომელიც გამარჯვებულად გამოცხადდა 2023 წელს.
 - 2022 წელს EEU განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა დოქტორანტების კვლევითი გრანტების კონკურსში და რომელიც 2022 წლის ოქტომბერში გამარჯვებულად გამოცხადდა.

- ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა ახალგაზრდა მეცნიერთა (პოსტდოქტორანტების) კვლევითი გრანტების კონკურსში - შედეგი მოლოდინის რეჟიმშია.
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით 2022 წლის 29 იანვარს ჰიბრიდულ ფორმატში გაიმართა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: „ქვეყნის განვითარების შესაძლებლობები პოსტ-პანდემიურ პირობებში“
- 2022 წლის 2 აპრილს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახალ კამპუსში გაიმართა პედაგოგთა კონფერენცია თემაზე – „მიგრაციის ფემინიზაცია და მისი გავლენა მოზარდებზე“. კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა შრომითი მიგრაციის ფემინიზაციის ზეგავლენის შესწავლა მოზარდების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, მათი განათლების ხარისხზე და ემიგრანტ დედებთან ურთიერთობის ეთიკურ-მორალურ მხარეზე.
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ახალგაზრდა საჯარო მოხელეთა აუდიტორია „ასმას“, ორგანიზებით 2022 წლის 10 აპრილს ჰიბრიდულ ფორმატში გაიმართა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: „შავი ზღვის ცვალებადი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი: უსაფრთხოებისა და თავისუფლების ძიებაში“.
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა (EEU) და ქ. თბილისის 172 საჯარო სკოლის კლუბის „ბიოლაბი“ ორგანიზებით 2022 წლის 11 მაისს, EEU-ს ახალ კამპუსში გაიმართა მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „გენეტიკა და ჯანმრთელობა“
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და ელექტრონული კომერციის ინსტიტუტის (კიოლნი, გერმანია) ორგანიზებით 2022 წლის 4 ნოემბერს გაიმართა რიგით მეორე ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ციფრული მენეჯმენტი, ტექნოლოგიური შესაძლებლობები და გამოწვევები“.
- 2022 წლის 18 ნოემბერს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – “ომი და მიგრაცია”.
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით 2022 წლის 16 დეკემბერს, გაიმართა საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: ”ქვეყნის განვითარების შესაძლებლობები პოსტ-პანდემიურ პირობებში“

უნივერსიტეტი სტაბილურად და სისტემატურად ახდენს პერსონალის კვლევითი საქმიანობის განვითარების მხარდაჭერას, რისთვისაც შემუშავებულია სხვადასხვა რეგულაციები.

კერძოდ:

- კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის სპეციალური „ბონუს სისტემა“;
- სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი;

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

1. ფინანსური მაჩვენებლები - ქვემოთ მოცემულია ცხრილები, სადაც წარმოდგენილია უნივერსიტეტის ფინანსური მაჩვენებლები

ცხრილი N1. (მოგება-ზარალი)

2022 წელი	2021 წელი	
8,565,196	6,078,878	საოპერაციო შემოსავალი
(6,213,926)	(4,649,103)	საოპერაციო ხარჯი
2,351,270	1,429,775	საოპერაციო მოგება

უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით მიღებული შემოსავალი, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების/ფონდების მიერ გამოყოფილი გრანტებიდან მიღებული შემოსავალი, მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამა, ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი ფულადი ფონდები, რეზიდენტი და არარეზიდენტი დამფუძნებლების მიერ განხორციელებული შენატანები, კომპანიის წესდებითა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

ზემოთ ჩამოთვლილი კლასიფიცირებული შემოსავლებიდან, უნივერსიტეტის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს, მისი საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რაც გულისხმობს ბიზნესისა და ინჟინერიის, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტებზე განხორციელებულ სხვადასხვა საფეხურიან სწავლებიდან მიღებულ შემოსავლებს და სხვა შემოსავლებს.

ზემოაღნიშნულ ფინანსურ ინფორმაციაზე დაყრდნობით (ცხრილი N1, N2) ჩანს, რომ უნივერსიტეტი არის ფინანსურად მდგრადი და მის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება.

2. არაფინანსური მაჩვენებლები - კომპანიას დასაქმებული ჰყავს 250 ზე მეტი თანამშრომელი, საიდანაც 40% არის ადმინისტრაციის თანამშრომელი, ხოლო 60% აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათთვის შექმნილია კომფორტული სამუშაო გარემო, შესაბამისი ინვენტარით და პირობებით.

კომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა მომწოდებლებთან და აუთსორს კომპანიებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიას მომსახურებით და სხვადასხვა შესყიდვებით. კომპანიის ბალანსზეა როგორც ძირითადი საშუალებები, ასევე სხვადასხვა მარაგები, რომელიც გამოიყენება ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობაში.

ძირითადი საშუალებები მოიცავს მოძრავ და უძრავ ქონებას, როგორიცაა: მიწა, შენობა, მანქანა-დანადგარები, საოფისე ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნები, ავეჯი, ლაბორატორიული ინვენტარი. ცვეთის მეთოდად გამოყენებულია წრფივი მეთოდი.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი არის ეკონომიკურ საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია კონკრეტული მიზნით და მოქმედებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. მიზნის განსახორციელებლად, ისევე როგორც ყველა სხვა კომპანიის, ასევე უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია - ფინანსური რესურსი და მისი მდგრადობა, სხვა დანარჩენ რესურსებთან ერთად.

ფინანსური რესურსების მდგრადობა და ეკონომიკურად მიღწევადობა, განპირობებულია უნივერსიტეტის შემოსავლებით სხვა გარემო ფაქტორებთან ერთად, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ გარემოზე. იმისათვის, რომ კომპანია მზად იყოს გაუთვალისწინებელი რისკების დაძლევისათვის და თამამად უპასუხოს ბაზრის მოთხოვნებს და გამოწვევებს, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი არ ეწევა არაპროფიტულ საქმიანობას და მთლიანად ორიენტირებულია უმაღლესი განათლების მაღალ ხარისხზე, მისი მიერ გენერირებული შემოსავლების პორთფელიც შესაბამისად არის დივერსიფიცირებული.

საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ბიუჯეტში თავიდანვე არის გაწერილი ყველა ის აქტივობა და საჭიროება, რომელიც შესაძლოა დაუდგეთ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს. ბიუჯეტის ფორმირების პროცესში აქტიურად არის ჩართული უსდ-ს ყველა სტრუქტურული ერთეული და ისინი პროექტის სახით წარმოადგენენ თავიანთ საჭიროებებზე მორგებულ განაცხადებს, რომლის დამუშავებისა და გაანალიზების შემდეგ ხდება ამ მონაცემების გათვალისწინება ცენტრალური ბიუჯეტის ფორმირებისას.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი დაგეგმილია სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მისიის შესრულების მიღწევადობის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სწავლებისა და კვლევის ინტეგრირებას და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვას, ქართულ და მსოფლიო კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას სტუდენტებისა და აკადემიური საზოგადოებისათვის, სტუდენტთა დასაქმებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლებას ცვალებადი საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებულ, საერთაშორისო დონის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბებას.

უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა, რაც იძლევა საშუალებას, რომ ზემოთხსენებული პროცესები წარიმართოს სწორად, იყოს გამჭვირვალე და სწორად იყოს ჩართული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. შესაბამისად მაქსიმალურად იყოს გადაზღვეული რისკები.